

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“

ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. ძირითადი საშუალებები	16
6. არამატერიალური აქტივები	16
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16
8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები.....	17
9. დებიტორული ანგარიშები	17
10. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	17
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	17
12. კაპიტალი	18
13. კრედიტორული დავალიანება	18
14. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	19
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები.....	20
16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	20
17. გადასახადები.....	20
18. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები.....	21
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	22
20. პირობითი ვალდებულებები	23
21. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ექსპრეს ტექნოლოჯის“ აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ექსპრეს ტექნოლოჯის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ას“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას მივაპყრობთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის სისტემას, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება მივაპყროთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ვასკვნით, რომ:

- ▶ ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშებში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას; და
- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშები ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 სექტემბერი, 2018 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2017	2016	1 იანვარი, 2016 წ.
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	17,276	16,327	16,939
არამატერიალური აქტივები	6	4,938	4,319	2,958
ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი ავანსები		308	964	212
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-	423
		22,522	21,610	20,532
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	2,002	2,228	2,991
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,576	1,682	1,755
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		31	31	232
დებიტორული ანგარიშები	9	1,670	1,375	1,603
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	10	1,572	530	1,627
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	43,534	31,619	24,714
		50,385	37,465	32,922
სულ აქტივები		72,907	59,075	53,454
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	23,316	23,316	23,316
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12	4,257	4,257	4,257
სხვა რეზერვები		-	50	(25)
გაუნაწილებელი მოგება		4,682	1,901	1,937
ჯგუფის აქციონერებზე მიკუთვნილებადი მთლიანი კაპიტალი		32,255	29,524	29,485
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		136	130	124
სულ კაპიტალი		32,391	29,654	29,609
გრძელვადიანი ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	13	-	10	418
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	17	-	-	668
		-	10	1,086
მოკლევადიანი ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	13	39,800	29,297	22,635
მიღებული ავანსები		662	8	19
გადასახდელი დივიდენდები		33	34	36
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		21	72	69
		40,516	29,411	22,759
სულ ვალდებულებები		40,516	29,421	23,845
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		72,907	59,075	53,454

1-24 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 18 სექტემბერს. კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ირაკლი კოდუა



18 სექტემბერი, 2018 წ.

გენერალური დირექტორი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2017	2016
ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი		18,574	14,897
ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		1,382	1,639
პერსონალიზაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		554	569
სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული ანაზღაურება		430	413
სულ შემოსავალი	14	20,940	17,518
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	2,696	2,957
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი იჯარა	16	(8,808)	(8,973)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,715)	(1,485)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(3,768)	(3,474)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		2,555	(164)
საპროცენტო შემოსავალი		52	10
საპროცენტო ხარჯი		(9)	(123)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება		192	211
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		2,790	(66)
მოგების გადასახადის სარგებელი	17	-	36
წლის მოგება/(ზარალი)		2,790	(30)
მიკუთვნიებადი შემდეგ პირებზე: მშობელი კომპანიის აქციონერები		2,781	(36)
არასაკონტროლო პაკეტი		9	6
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	12	0.12	-
სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის მუხლში			
- (ზარალი) / მოგება საკურსო სხვაობიდან		(50)	75
სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, წმინდა		(50)	75
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,740	45
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიკუთვნიებადია შემდეგ პირებზე:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		2,731	39
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		9	6

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	დამატები- თი შენატანები კაპიტალში	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	არასაკონ- ტროლო პაკეტის მფლობელებ ი	სულ
1 იანვარი, 2016 წ.	23,316	4,257	(25)	1,937	124	29,609
პერიოდის (ზარალი) / მოგება	-	-	-	(36)	6	(30)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	75	-	-	75
31 დეკემბერი, 2016 წ.	23,316	4,257	50	1,901	130	29,654
მოგება პერიოდის განმავლობაში	-	-	-	2,781	9	2,790
სხვა სრული ზარალი	-	-	(50)	-	-	(50)
არსებულ შვილობილ საწარმოებში წილის შესყიდვა	-	-	-	-	(3)	(3)
31 დეკემბერი, 2017 წ.	23,316	4,257	-	4,682	136	32,391

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშ- ვნი	2017	2016
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		2,790	(66)
კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,768	3,474
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან	15	15	700
განახლების მომსახურებისა და აღჭურვილობის რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება	15	(182)	(303)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება		226	763
გადახდილი ავანსებისა და სხვა მიმდინარე აქტივების შემცირება		106	73
დებიტორული ანგარიშების (ზრდა) / შემცირება		(295)	228
კრედიტორული დავალიანების და სხვა ვალდებულებების ზრდა		11,149	5,502
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის დაბეგრამდე		17,577	10,371
გადახდილი პროცენტი		(9)	(123)
გადახდილი მოგების გადასახადი		(51)	(5)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		17,517	10,243
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(6,099)	(5,610)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		1,591	1,142
საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხების განთავსება / გამოტანა		(1,042)	1,097
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,550)	(3,371)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდები		(1)	(2)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1)	(2)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		11,966	6,870
წმინდა საკურსო სხვაობა		(51)	35
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	11	31,619	24,714
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	11	43,534	31,619

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ (შემდგომში - „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ბელიაშვილის ქუჩა 106, თბილისი საქართველო. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების (ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს თვითმომსახურების ტერმინალის ქსელის ოპერირებას, ტექნიკურ მომსახურებასა და ოპერაციების დამუშავებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემის ოპერირებას და ტექნიკურ მომსახურებას, და პერსონალიზაციის მომსახურებას.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ბიჯი ფაინანშიალი“. ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ფლობენ ჯგუფის აქციებს.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯი ჯგუფი“ - გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

შვილობილი საწარმოები

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ქვემოთ ჩამოთვლილ შვილობილ საწარმოებს შემდეგი ეფექტური წილობრივი მონაწილეობით:

შვილობილი საწარმო	2017	2016	1 იანვარი, 2016 წ.	ქვეყანა	სფერო
სს „ჯორჯიან ქარდი“	99.46%	99.45%	99.45%	საქართველო	ოპერაციების დამუშავების და პერსონალიზაციის მომსახურება
შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“	99.46%	99.45%	99.45%	საქართველო	თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის ოპერირება, ტექნიკური მომსახურება და ოპერაციების დამუშავება
შპს „მეტრო სერვის პლიუსი“	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემის ოპერირება და ტექნიკური მომსახურება
შპს „დიდი დილომი კვლევიტი ცენტრი“	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	მონაცემთა მიმოცვლა საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით თბილისის მეტროს სისტემაში, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა
შპს „Express Technologies CEE“	-	100.00%	100.00%	უნგრეთი	თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის ოპერირება, ტექნიკური მომსახურება და ოპერაციების დამუშავება

2016 წლის აპრილში, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება უნგრეთში არსებული მისი შვილობილი საწარმოს (100%-იანი წილი) - შპს „Express Technologies CEE“-ის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც ოფიციალურად 2017 წლის ოქტომბერში დაიხურა.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) პირველად გამოყენება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც ჯგუფმა ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სათანადო ფასს-ების მოთხოვნათა დაცვით პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, შესაბამისი პერიოდის შედარებად მონაცემებთან ერთად 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდომარეობით და 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის. ჯგუფს არ წარუდგენია წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები. ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს 1-ით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ დაშვებული რეტროსპექტული გამოყენების გამონაკლისები. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ ძალაში შესვლამდე, 2016 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შექმნის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტო შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი საწარმოს კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები	10
შენობა-ნაგებობები	100
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5
სხვა აღჭურვილობა	5

თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები შესაძლებელია მოიცავდეს დენისტალირებულ ძირითად სათადარიგო ნაწილებს. ასეთ აქტივებს ერიცხება ცვეთა, ვინაიდან ისინი ინსტალირებულნი არიან თვითმომსახურების ტერმინალებზე.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს. პირველადი აღიარებისას არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხუთიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებით ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებსა და სხვა ერთეულებს. მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. ჯგუფს არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს განაგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ ფასდებიან გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალი იკლებს და კლება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენასთან, ხდება წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალის შემობრუნება. შემდგომ პერიოდებში გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებული ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვიდან. ასეთი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება გზაში მყოფი ფულადი სახსრებისგან, სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვთ ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ გზაში მყოფ ფულად სახსრებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის ნაშთები წარმოდგენს პირის მიერ გადახდილ ნაღდ ფულს, რომელიც განთავსებულია თვითმომსახურების ტერმინალებში ან სალაროებში, ან გადარიცხულია ჯგუფის საბანკო ანგარიშზე ასეთი თვითმომსახურების ტერმინალებიდან ან სალაროებიდან. პირის მიერ თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მუშეობით გადახდის განხორციელების პარალელურად, ბანკი, რომელიც დაკავშირებული მხარეა გადარიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტთან, რასაც კომპანია აღიარებს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავალიანების სახით. ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები თავდაპირველად განთავსდება იმ ბანკში გახსნილ ჯგუფის საბანკო ანგარიშზე, რომელიც დაკავშირებული მხარეა, და შემდგომ გამოიყენება ამ ბანკის მიმართ დამუშავების ვალდებულებების შესრულებისთვის მომდევნო სამი დღის განმავლობაში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-16 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრვა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა ოდენობის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აღიარებული ოდენობების გაქვითვის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება და ურთიერთგაქვითვის განზრახვა ან თანადროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. ჯგუფს არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო მოვლენის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- კომპანიის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე დამატებით მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება საემისიო შემოსავლის სახით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

მრავალელემენტაანი შეთანხმებების შემთხვევაში, ჯგუფი ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალ-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია (გამიჯვნადია). მთლიანი ანაზღაურება გადანაწილდება ცალკეულ მომსახურებებს შორის ამ მომსახურებების ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის შესაბამისად. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება ფასთა ნუსხის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ყიდის ოპერაციების დამუშავებისა და ტექნიკურ მომსახურებებს.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ოპერაციების დამუშავების მომსახურებას, რაც მოიცავს მოვაჭრე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ პირისგან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით და ამ თანხების შემდგომ გადარიცხვას დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად ურიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტებს გადახდის ოპერაციის დასრულებით თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით. ოპერაციების დამუშავებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება ოპერაციის ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ან დამოუკიდებლად თითოეული ოპერაციისთვის. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებიდან

ჯგუფი პერსონალიზაციის მომსახურებიდან შემოსავალს იღებს ფინანსური და არაფინანსური დაწესებულებებისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათების გაცემისა და პერსონალიზაციის სანაცვლოდ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფი ტექნიკურ მომსახურებას უწევს ბანკს, რომელიც დაკავშირებული მხარეა და საკუთარი თვითმომსახურების ტერმინალები გააჩნია. ჯგუფი კისრულობს კონკრეტული აღჭურვილობის შეკეთების ვალდებულებას გაუმართაობის შემთხვევაში, რისთვისაც ყოველთვიურ ანაზღაურებას იღებს თითოეული თვითმომსახურების ტერმინალის შემთხვევაში. შესაბამისად, ტექნიკური მომსახურებიდან შემოსავალს ჯგუფი იღებს ტექნიკური მომსახურების გაწევის მზაობისთვის მითითებულ დროის მონაკვეთში, და არა რეალურად გაწეული ტექნიკური მომსახურების შესაბამისად. მზაობის ვალდებულება სრულდება და შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში დროის გასვლის შესაბამისად.

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული ანაზღაურება

ჯგუფი ყიდის და ინიცირებას უკეთებს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკური პირებისთვის, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია და დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ამ ბარათების გაყიდვისას, რადგან ჯგუფს არ გააჩნია შესასრულებელი ვალდებულება გარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემისთვის სატრანსპორტო ბარათების გაყიდვის და ინიცირების ვალდებულებისა. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული ანაზღაურება წარმოადგენს პლასტიკური ბარათების ღირებულების შესაბამის წმინდა შემოსავალს, ვინაიდან ჯგუფი საკუთარ საქმიანობას აფასებს, როგორც აგენტის საქმიანობას მსგავს ოპერაციებში (იხ., მე-4 შენიშვნა)

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული და დებიტორული ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ სალაროს შემოსავლის ორდერებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდისთვის, რათა მიიღოს ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წმინდა საკურსო ზარალის ნაწილში.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და ოპერაციის თარიღისთვის სებ-ის მიერ დადგენილ სავალუტო კურსს შორის აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წმინდა საკურსო ზარალის ნაწილში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.5922 და 2.6468 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ ჯგუფზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა სხვა ვერსიას, და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის; ამასთან, დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

ჯგუფი ახალ სტანდარტს მიიღებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან, 2018 წლის 1 იანვრისთვის სტანდარტის მიღების სავარაუდო გავლენის აღიარებით საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე და, რამდენადაც ფასს 9 ამის შესაძლებლობას იძლევა, არ გადაიანგარიშებს შედარებად მონაცემებს. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მონაცემების საფუძველზე ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფასს 9-ის მიღება მნიშვნელოვან გავლენას არ იქონიებს კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფასს (IFRS) 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე. ჯგუფი მოელოს, რომ ამჟამად ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი ყველა აქტივისა და ვალდებულების შეფასებას განაგრძობს ამორტიზებული ღირებულებით.

დებიტორულ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ჯგუფმა გაანალიზა ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებენ ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, საჭირო არ არის ამ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია.

(ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ით ასევე ძირულად შეიცვლება მიდგომა დებიტორული ანგარიშების გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომას ჩანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული, და არა წარსულზე. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ზარალი მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მოკლევადიანი და მაღალლიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებითი არ იქნება.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები, აღიშნული სტანდარტი მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისის მოდელით, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივი გამოყენების უფლებით).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარეები ასევე ვალდებულები არიან, გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა; სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება, ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული მაჩვენებლის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ხელახლა შეაფასონ საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე, ჩვეულებრივ, აღიარებს საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების ოდენობას როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს ყველა იჯარის კლასიფიკაციას ბასს 17-ის მიხედვით დადგენილი პრინციპის ანალოგიურად და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარეს აქვს არჩევანი და შეუძლია სტანდარტი გამოიყენოს სრულად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ჯგუფი შეაფასებს ფასს 16-ის პოტენციური გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ არაფულადი აქტივის ან წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას გამოყენების მიზნით შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) პირველად აღიარებაზე გამოსაყენებელი სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრის მიზნებისთვის, ოპერაციის დღეს წარმოადგენს თარიღი, რომელშიც საწარმო პირველად აღიარებს წინასწარი გადახდიდან წარმოშობილ არაფულადი აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს წინასწარი ანაზღაურების მრავალჯერად გადახდასა და მიღებას, საწარმო ვალდებულია ოპერაციის თარიღი განსაზღვროს წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისა და მიღებისთვის. საწარმოებს ხსენებული ცვლილებების გამოყენება შეუძლიათ სრულად რეტროსპექტული ძალით.

სხვა შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ინტერპრეტაცია გამოიყენოს პერსპექტიულად ყველა იმ აქტივთან, ხარჯთან და შემოსავალთან მიმართებით ამ ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში, რომელთა პირველადი აღიარება მოხდა ქვემოთ მითითებულ თარიღებში ან ამ თარიღების შემდგომ:

- (i) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას, ან
- (ii) წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელიც წარმოდგენილია შედარებადი ინფორმაციის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას.

ინტერპრეტაცია გამოიყენება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის ძალაში შესვლამდე გამოყენება ნებადართულია და ექვემდებარება განმარტებითი შენიშვნების წარდგენას. თუმცა, ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციის მოთხოვნებს, კომპანია არ მოელის რაიმე ცვლილებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე საანგარიშგებო თარიღისთვის ისევე, როგორც გაცხადებული შემოსავლისა და ხარჯის ოდენობაზე ანგარიშგების პერიოდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული ანაზღაურების აღიარება და წარდგენა

ჯგუფი ყიდის და ინიცირებს უკეთეს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკური პირებისთვის, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია და დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. თავად სატრანსპორტო ბარათი წარმოადგენს გადახდის უფრო მოსახერხებელ საშუალებას, რომელიც გამიზნულია მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით სარგებლობისთვის.

ჯგუფის შეფასებით, იგი ხელს უწყობს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვასა და ინიცირებას და, შესაბამისად, მიაჩნია, რომ მის შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს სატრანსპორტო ბარათების ფიზიკურ პირებზე გაყიდვისა და ინიცირების უზრუნველყოფა, რასაც ჯგუფი სათანადოდ აკმაყოფილებს დროის კონკრეტულ მონაკვეთებში. ჯგუფი თავის მომხმარებლებს გადასცემს უფლებას, მომავალში გადაიხადონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის საფასური სატრანსპორტო ბარათების მეშვეობით და პასუხისმგებელი არ არის სატრანსპორტო მომსახურების მიწოდების პირობის შესრულებაზე. ამასთან, ჯგუფს არ გააჩნია დისკრეციული უფლება, დააწესოს სატრანსპორტო ბარათების ფასი, რადგან ის ყიდის ბარათებს ფიქსირებულ ფასად, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. ჯგუფს გააჩნია მხოლოდ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რისკი, რაც პლასტიკური ბარათების ღირებულებით შემოიფარგლება.

ზემოთ განხილული მაჩვენებლის გათვალისწინებით, ჯგუფს თავის საქმიანობას აფასებს, როგორც აგენტის ქმედებებს მსგავს ოპერაციებში და აღიარებს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებულ შემოსავალს პლასტიკური ბარათების შესაბამისი წმინდა ღირებულების ოდენობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	თვითმომ- სახურების ტერმინალ ები და სათადარ- რიგო ნაწილები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავეჯი და მოწობ ილო- ბები	კომპიუტერ- ული ტექნიკა და საოფისე აღჭურვი- ლობა	სატრან- სპორტო საშუალე- ბები	საიჯარო ქონების გაუმჯო- ბესება	სხვა აღჭურ- ვილობა	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი, 2016 წ.	16,835	908	530	3,628	343	863	405	23,512
შემოსვლები	2,397	10	34	868	27	48	9	3,393
გასვლები	(2,332)	-	(20)	(287)	(26)	(332)	(273)	(3,270)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	72	-	-	1	1	-	-	74
31 დეკემბერი, 2016 წ.	16,972	918	544	4,210	345	579	141	23,709
შემოსვლები	2,963	11	57	775	116	113	302	4,337
გასვლები	(494)	-	(54)	(935)	(125)	-	(12)	(1,620)
31 დეკემბერი, 2017 წ.	19,441	929	547	4,050	336	692	431	26,426

დარიცხული ცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი, 2016 წ.	3,758	5	261	1,763	130	367	289	6,573
ცვეთის დანარიცხი	1,777	9	56	705	56	90	38	2,731
გასვლები	(1,074)	-	(18)	(232)	(9)	(332)	(265)	(1,930)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	7	-	-	1	-	-	-	8
31 დეკემბერი, 2016 წ.	4,468	14	299	2,237	177	125	62	7,382
ცვეთის დანარიცხი	1,910	9	58	789	54	86	20	2,926
გასვლები	(82)	-	(54)	(932)	(78)	-	(12)	(1,158)
31 დეკემბერი, 2017 წ.	6,296	23	303	2,094	153	211	70	9,150

წმინდა საბალანსო ღირებულება:

1 იანვარი, 2016 წ.	13,077	903	269	1,865	213	496	116	16,939
31 დეკემბერი, 2016 წ.	12,504	904	245	1,973	168	454	79	16,327
31 დეკემბერი, 2017 წ.	13,145	906	244	1,956	183	481	361	17,276

6. არამატერიალური აქტივები

	თვითღირე- ბულება	ამორტიზა- ციის დანარიცხი	წმინდა საბალანსო ღირებულება
1 იანვარი, 2016 წ.	4,446	(1,488)	2,958
შემოსვლები / (ამორტიზაციის დანარიცხი)	2,070	(743)	
გასვლები	(620)	620	
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	35	(1)	
31 დეკემბერი, 2016 წ.	5,931	(1,612)	4,319
შემოსვლები / (ამორტიზაციის დანარიცხი)	1,463	(842)	
გასვლები	(218)	215	
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	1	-	
31 დეკემბერი, 2017 წ.	7,177	(2,239)	4,938

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2017	2016	1 იანვარი, 2016 წ.
სათადარიგო ნაწილები	1,252	1,561	2,519
პლასტიკური სატრანსპორტო ბარათები	236	115	125
სხვა	514	552	347
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	2,002	2,228	2,991

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
საოპერაციო გადასახადებთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,068	1,112	1,363
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	219	346	292
სასაქონლო-მატერიალური მარაგებზე გადახდილი ავანსები	214	179	57
დაკავშირებული მხარეებისთვის გადახდილი ავანსები (მე-19 შენიშვნა)	12	10	17
სხვები	63	35	26
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	<u>1,576</u>	<u>1,682</u>	<u>1,755</u>

9. დებიტორული ანგარიშები

	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	1,267	919	1,136
სხვა მოთხოვნები	429	482	472
	<u>1,696</u>	<u>1,401</u>	<u>1,608</u>
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(26)	(26)	(5)
სულ დებიტორული ანგარიშები, წმინდა	<u>1,670</u>	<u>1,375</u>	<u>1,603</u>

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად უახლოვდებოდა მათ სამართლიან ღირებულებებს. გადახდის ვადები 5-დან 30 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 26 ლარის, 26 ლარისა და 5 ლარის საწყისი საბალანსო ღირებულების მქონე დებიტორული ანგარიშები გაუფასურებული სრულად დარეზერვებული იყო.

10. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ შეადგენდა მოკლევადიან შენატანებს ბანკებში 6-დან 12 თვემდე თავდაპირველი დაფარვის ვადით. 2017 და 2016 წლებში ჯგუფმა მიიღო საპროცენტო შემოსავალი 18 ლარისა და 6 ლარის ოდენობით, შესაბამისი თანმიმდევრობით.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები	15,561	11,667	10,648
იმ ბანკში განთავსებული ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებული მხარეა (მე-19 შენიშვნა)	22,118	14,990	8,989
იმ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებული მხარეა	4,396	3,617	3,633
იმ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარე	-	284	137
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	1,459	1,061	1,307
	<u>43,534</u>	<u>31,619</u>	<u>24,714</u>

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები წარმოადგენს ფიზიკური პირებისგან მიღებულ ნაღდ ფულს, ამ ფულის იმ ბანკის ანგარიშზე განთავსების მომენტამდე, რომელიც მომსახურების დაკავშირებული მხარეა.

საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთი მცოცავია და დამოკიდებულია ბანკის შენატანების დღიურ განაკვეთებზე. ჯგუფი არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

12. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი შედგება 23,316,420 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს ერთ ლარს, და დამატებით შეტანილი კაპიტალისგან 4,257 ლარის ოდენობით.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ მოცემულია ზარალისა და აქციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზო და განზავებული მოგების გამოსათვლელად:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ჩვეულებრივი აქციების მფლობელების წმინდა მოგება / ზარალი	2,790	(30)
ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	23,316,420	23,316,420
საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე	0.12	-

13. კრედიტორული დავალიანება

	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	34,761	24,541	18,412
ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კრედიტორული ანგარიშები	3,748	3,374	3,049
ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივებში დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი ანგარიშები (მე-18 შენიშვნა)			408
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	648	468	383
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	332	356	280
ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივებში გადასახდელი ანგარიშები	3	351	68
სხვა კრედიტორული დავალიანება	308	217	453
კრედიტორული დავალიანება, სულ	39,800	29,307	23,053
მიმდინარე	39,800	29,297	22,635
გრძელვადიანი	-	10	418

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად უახლოვდებოდა მათ სამართლიან ღირებულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი თავის მომხმარებლებს, ე.ი. სს „საქართველოს ბანკს“, სთავაზობს ქსელის ოპერირებისა და ტექნიკურ მომსახურებას, ოპერაციების დამუშავებისა და პერსონალიზაციის მომსახურებას, რასაც ახორციელებს თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის მეშვეობით, ხოლო სხვა კლიენტების შემთხვევაში - სალაროების საშუალებით. ჯგუფის შეფასებით მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიღებულ სარგებელს.

ჯგუფის ერთ-ერთმა შვილობილმა საწარმომ, შპს „მეტრო სერვის პლუსმა“, 2006 წელს გააფორმა ხელშეკრულება ოპერაციების დამუშავების მომსახურების შესახებ შპს „თბილისის ტრანსპორტის კომპანიასთან“ ათი წლის ვადით. 2016 წლის მარტიდან 2017 წლის ივლისამდე პერიოდში, შპს „მეტრო სერვის პლუსმა“ გააფორმა რამდენიმე დამატებითი ხელშეკრულება ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2018 წლის ოქტომბრამდე გაგრძელების მიზნით. ხსენებული დამატებითი ხელშეკრულებების თანახმად, შპს „მეტრო სერვის პლუსი“ წარმოადგენდა ქვეკონტრაქტორს და იღებდა ანაზღაურებას ოპერაციების დამუშავების მომსახურებისთვის „საქართველოს ბანკისგან“, რომელიც მომსახურების დაკავშირებული მხარეა. ამასთან, შპს „მეტრო სერვის პლუსი“ ვალდებული იყო უსასყიდლოდ გადაეცა კონკრეტული აქტივები თბილისის მერიისთვის. შესაბამისად, 2017 წელს შპს „მეტრო სერვის პლუსმა“ აღნიშნული აქტივების ღირებულება აღიარა სხვა საოპერაციო ღირებულებების ნაწილში (იხ., ასევე მე-15 შენიშვნა).

2017 წლის 15 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკმა“, კომპანიის მომსახურების დაკავშირებულმა მხარემ, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, რომლითაც მიიღო ექსკლუზიური უფლება ემართა თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემა. ხელშეკრულების შესაბამისად სს „საქართველოს ბანკი“ განაგრძობს მუშაობას მომსახურების მიწოდების რანჟში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გადახდის დამხმარე მომსახურებების მიწოდების თვალსაზრით მომდევნო ათი წლის განმავლობაში. სს „საქართველოს ბანკი“ დანერგავს თანამედროვე გადახდის სისტემას თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელისთვის, რაც მოიცავს გადახდის დამუშავებას „Visa“ და „MasterCard“ ბარათების მეშვეობით, და შექმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების დაჯავშნისა და ყიდვისთვის მობილური აპლიკაციების მეშვეობით.

2018 წლის თებერვალში სს „საქართველოს ბანკმა“ და შპს „მეტრო სერვის პლუსმა“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ჯგუფი იმოქმედებს ქვეკონტრაქტორის სახით და პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის მუშაობაზე თბილისში განახლებული ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, რომლის ათვლა 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყება.

საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
დებიტორული ანგარიშები	1,032	786	789
მიღებული ავანსები *	301	1	16

* მიღებული ავანსების ზრდა, პირველ რიგში, მიკუთვნებადია 2018 წლის განმავლობაში ოპერაციის დამუშავების მომსახურებისთვის იმ ბანკიდან მიღებულ ავანსებზე, რომელიც მომსახურების დაკავშირებული მხარეა.

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ აგრეგირებულ ოდენობას, რადგან ჯგუფს აქვს უფლება მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირ შეესაბამება ჯგუფის მიერ კონკრეტული თარიღისთვის შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას მომხმარებლისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	<u>2017</u>	<u>2016</u>
შეკეთების მომსახურებისა და აღჭურვილობის გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	182	303
შემოსავალი სამონტაჟო მომსახურებიდან	849	-
საიჯარო შემოსავალი	822	716
პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	310	1,464
ურთიერთჩართვის საფასური	266	239
სხვა საოპერაციო შემოსავალი	267	235
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	2,696	2,957
თბილისის მერიისთვის გადაცემული აქტივების ღირებულება (მე-14 შენიშვნა)	(1,301)	-
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(1,585)	(1,244)
გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება	(792)	(1,551)
საკომუნიკაციო ქსელი	(655)	(720)
საოპერაციო გადასახადები	(479)	(468)
საკასო ოპერაციები	(350)	(331)
საკომისიო	(279)	(233)
ელექტროენერჯის, წყლის, გაზისა და სხვა კომუნალური გადასახადები	(272)	(267)
პროფესიული მომსახურება	(209)	(230)
მოპარული და დაზიანებული კუპონები	(187)	(279)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(15)	(700)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(666)	(684)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(6,790)	(6,707)

16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ხელფასები და სხვა სარგებელი	8,054	8,229
პრემიები ფულადი სახით	754	744
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	8,808	8,973

17. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებსთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს ჯგუფს მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია. 2016 წელს ჯგუფმა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის სარგებელი 245 ლარის ოდენობით აღიარა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. გადასახადები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	-	209
გადავადებული საგადასახადო სარგებელი - წარმოშობა და დროებითი სხვაობების შებრუნება	-	(245)
მოგების გადასახადის სარგებელი	-	(36)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონმდებლობას, რომელიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

18. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პირობებში, ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ
2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 28,086 ლარი, 19,137 ლარი და 14,249 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით, განთავსებული იყო იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა, რომელსაც „Standard & Poor's“-ისგან მინიჭებული ჰქონდა „BB-/B“ რეიტინგი, „Moody's“-ისგან „B1/NP“ (FC) და „Ba3/NP“ (LC), ხოლო „Fitch Ratings“-ისგან „BB-/B“.
- დებიტორული ანგარიშები
ჯგუფის დებიტორული ანგარიშები ძირითადად გამოხატულია ლარში და მათი ვადა შეადგენს საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეს. 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არცერთი მნიშვნელოვანი დებიტორული ანგარიში არ იყო ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ხელმძღვანელობა.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს არ გააჩნია არსებითი მგრძობელობა სავალუტო რისკის მიმართ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი საწარმოებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებისა და დაუფარავი ნაშთების ოდენობა ასეთია:

<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</i>	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>1 იანვარი, 2016 წ.</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,514	18,607	12,622
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,572	530	1,627
დებიტორული ანგარიშები	1,267	919	1,136
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	12	10	17
	<u>29,365</u>	<u>20,066</u>	<u>15,402</u>
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	34,761	24,541	18,820
მიღებული ავანსები	654	-	-
	<u>35,415</u>	<u>24,541</u>	<u>18,820</u>

დებიტორული ანგარიშები, ძირითადად, შედგება ოპერაციის დამუშავებისთვის სს „საქართველოს ბანკისგან“ მისაღებ ანგარიშებს, რომელთა გადახდის ვადა 5-დან 30 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

კრედიტორული დავალიანება ფაქტობრივად წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკთან“ მიმართებით ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ თანხებს, რომლებსაც ბანკი თავდაპირველად ურიცხავს მოვაჭრე სუბიექტებს ფიზიკური პირების მიერ თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით გადახდის განხორციელების პარალელურად. ასეთი კრედიტორული დავალიანება, ჩვეულებრივ, 3 სამუშაო დღის ვადაში იფარება.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნდა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომელი 408 ლარს შეადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად. ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფს ჰქონდა უპირობო უფლება, გადაევადებინა აღნიშნული დავალიანების დაფარვა 12 თვეზე მეტი ვადით ანგარიშგების თარიღიდან. აღნიშნული დავალიანება აღრიცხული იყო ამორტიზებული ღირებულებით და სრულად დაიფარა 2017 წელს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	<u>2017</u>	<u>2016</u>
გაყიდვები		
ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი	16,174	13,430
ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,017	1,318
შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებიდან	529	499
	<u>17,720</u>	<u>15,247</u>
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (ა)	72	569
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,873	2,061
	<u>2,945</u>	<u>2,630</u>
შესყიდვები და ხარჯები		
იჯარა	(478)	(419)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა	(444)	(846)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(939)	(958)
	<u>(1,861)</u>	<u>(2,223)</u>
სხვა ერთეულები		
საპროცენტო შემოსავალი	52	10
საპროცენტო ხარჯი	(9)	(118)

(ა) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში, ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ წმინდა მოგების ნაწილში.

2017 და 2016 წლებში ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 509 ლარი და 497 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით. უშუალო ან საბოლოო მშობელ კომპანიასთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

20. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარა ადმინისტრაციულ შენობასა და სხვა ნაგებობებზე, რომელთა იჯარის ვადა ერთიდან სამ წლამდე მერყეობს. ჯგუფს შეუძლია, ზოგიერთი იჯარის შემთხვევაში, გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი ერთი წლის ვადით.

31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე ასე გამოიყურებოდა:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ერთი წლის განმავლობაში	1,731	1,513
ერთიდან სამ წლამდე ვადაში	736	1,062
	<u>2,467</u>	<u>2,575</u>

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - ჯგუფი როგორც მერიჯე

ჯგუფს გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარები, მათ შორის ქვე-იჯარები, თავის შენობა-ნაგებობებზე. ამ იჯარების ვადა 1 წელს შეადგენს, მოქმედების ვადის ავტომატურად გაგრძელების პირობით. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე შეადგენდა 860 ლარსა და 750 ლარს, შესაბამისი თანმიმდევრობით.

21. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ჯგუფმა უნდა დაამონტაჟოს 450 თვითმომსახურების ტერმინალი თბილისში, ავტობუსების გაჩერებებზე. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2017 წლის სექტემბერში სს „საქართველოს ბანკმა“ გაიმარჯვა ტენდერში და ქალაქ თბილისის მერიასთან გაფორმა ხელშეკრულება თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის მოდერნიზაციის შესახებ. ჯგუფი მონაწილეობდა ტენდერში, როგორც სს „საქართველოს ბანკის“ ქვეკონტრაქტორი და შეინარჩუნებს უკვე არსებულ 800 თვითმომსახურების ტერმინალს (სულ 2200 ტერმინალიდან + თვითმომსახურების ტერმინალების ქსელი), რომლებიც განთავსებულია მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებებზე თბილისში, და 450 თვითმომსახურების ტერმინალს, რომლებიც დამონტაჟდება მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

2018 წლის 1 თებერვალს ჯგუფმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სს „საქართველოს ბანკთან“, რომლის თანახმადაც კომპანია განაგრძობს მუშაობას ქვეკონტრაქტორის რანგში და მოახდენს მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემის იმპლემენტაციას, ოპერირებასა და ტექნიკურ მომსახურებას სრულად საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2017 წლის სექტემბერში სს „საქართველოს ბანკმა“ გაიმარჯვა ტენდერში და მიიღო ექსკლუზიური უფლება თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის ოპერირებაზე მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ჯგუფი მონაწილეობდა სატენდერო წინადადებაში ქვეკონტრაქტორის სახით. შესაბამისად, მან შეინარჩუნა ოპერაციები და საკუთარი როლი თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში, ასევე ექსკლუზიური უფლება, მოახდინოს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვა და ინიცირება მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

2018 წლის 29 მაისს ძალაში შევიდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ გამოყოფა. შედეგად, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ ნაცვლად შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ იქნება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2018 წლის 18 სექტემბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.